სტაჟირების პროგრამა თსუ_ს ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის მე-3 და მე 4 კურის სტუდენტებისთვის

შპს ვეზირის შესახებ...

შპს ვეზირი დაარსდა 1996 წელს, როგორც კავშირგაბმულობის სისტემების მომწოდებელი საქართველოს ბაზარზე. კომპანიამ საქმიანობა დაიწყო რადიოკავშირის სისტემების მიწოდებითა და მონტაჟით.

მოკლე დროში მან მოიპოვა ხარისხიანი და პროფესიონალი კომპანიის რეპუტაცია, 2008 წლის ნოემბერში კი მიენიჭა ხარისხის მართვის საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001 : 2008 და დღემდე ფლობს მას.

ვეზირი მუდმივად განვითარებისა და ზრდის პროცესში მყოფი ორგანიზაციაა. ის დღეისათვის ქართულ ბაზარზე ერთადერთია, რომელსაც საშუალება აქვს განახორციელოს რეალურად მასშტაბური და კომპლექსური პროექტები. ჰყავს მაღალკვალიფიციური ინჟინერთა გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული პროექტის დიზაინის შერჩევას და განხორციელებას, მომხმარებლის მოთხოვნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. კომპანიის მიერ პროდუქტის დანერგვა ხდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წინასწარ შემუშავებული და მომხმარებელთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

ამჟამად კომპანია ლიდერია სატელეკომუნიკაციო და უსაფრთხოების სისტემების ინტეგრაციის სფეროში. ის მომხმარებელს აწვდის საიმედო, უახლესი ტექნოლოგიის მოწყობილობებს და მაღალხარისხიან მომსახურებას. ვეზირის მიერ პროექტების მაღალ დონეზე განხორციელება განპირობებულია იმით, რომ კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს მსოფლიოს წამყვანი ბრენდების პროდუქციას და უზრუნველყოფს მათ მაღალკვალიფიციურ ინსტალაციას.

ვეზირის მიერ შესრულებული პროექტების არასრული ჩამონათვალი (ბოლო 5 წლის მონაცემები)

2015 - საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადაყვანის უზრუნველყოფა
2013-2015 - საქართველოს ეროვნული არქივის ხანძრის დეტექციის და ქრობისა სისტემის პროექტირება და ინტეგრაცია, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ინტეგრაცია
2013 - საქართველოს ეროვნული ბანკი საკასო ცენტრის უსაფრთხოების სისტემის პროექტირება და ინტეგრაცია
2013 - სსსტც „დელტა“-ს უსაფრთხოების სისტემის პროექტირება
2013 - სს თი ბი სი ბანკის ქოლ ცენტრისა და CRM-ის ინტეგრაციის პროექტირება
2013 - თურქმენეთი : ნავთობისა და გაზის სამინისტრო - Alcatel-Lucent VoIP გადაწყვეტა, მიწოდება და სისტემის ინტეგრაცია , 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო Chandebyl, - Alcatel-Lucent VoIP გადაწყვეტა, მიწოდება და სისტემის ინტეგრაცია Telematrix სატელეფონო მომსახურების მიწოდება და სისტემის ინტეგრაცია
2013 - IDC Ltd. - რისკის პრევენციის სერვისი -მიმდინარე
2013 - Peri Ltd. - რისკის პრევენციის სერვისი -მიმდინარე
2013 - BP Georgia - რისკის პრევენციის სერვისი -მიმდინარე
2013 - BP Georgia - ელექტრონული დაცვის სისტემების მონიტორინგი -მიმდინარე
2013 - JSC Telasi - Alcatel-Lucent VoIP გადაწყვეტა, გაფართოება , უსაფრთხოების მართვის სისტემების დანერგვა,
2010 - PABX სისტემის აწყობა გაზისა და ნავთობის ინსტიტუტისათვის, აშხაბადი, თურქმენეთი
2010 - ავლაბრის რეზიდენცია - CCTV კამერების დამონტაჟება
2010 - ბობოყვათის რეზიდენცია - CCTV კამერების დამონტაჟება
2010 - TBC ბანკისთვის - ქოლ ცენტრის ინსტალაცია
2010 - TETRA სისტემების მონტაჟი, და მის საფუძველზე ქვესადგურების მონაცემთა შეგროვების სისტემა, სს თელასისთვის
2010 - SCADA სისტემის მონტაჟი, პროგრამირება და ექსპლუატაციაში გაშვება BP Georgia-ს ობიექტებზე

რას ვთავაზობთ სტუდენტებს?

კომპანიის წარმატებას ძირითადად განსაზღვრავს პროფესიონალი მენეჯერებისა და ტექნიკური პერსონალის ცოდნა და გამოცდილება, ამიტომ ვეზირი მუდმივად პროფესიონალი კადრის ძიებაშია. ჩვენს სფეროში ბაზარზე არსებულ არასახარბიელო სიტუაციის გათვალისწინება მზად ვართ თავად მოვამზადოთ პროფესიონალი კადრები და ამ მიზნით მხარს ვუჭერთ სტუდენტების დასაქმების პროგრამას.

ვინ უნდა დაინტერესდეს აღნიშნული შეთავაზებით?

- თსუ_ს ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის მე-3 და მე 4 კურის სტუდენტები
- ენერგიული, მოტივირებული და მონდომებული სტუდენტები, რომლებიც მზად არიან ახალი გამოწვევებისთვის და აქვთ სურვილი კერძო კომპანიაში მუშაობის
- სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებული არიან ინოვაციური ტექნოლოგიების შესწავლით,
- სტუდენტები, რომლებიც მზად არიან უნივერსიტეტიდან თავისუფალ დროს ეწვიონ შპს ვეზირს და პრაქტიკული ცოდნა მიიღონ კომპანიის მიერ განსახორციელებელ პროექტებზე

რას მიიღებს სტუდენტი აღნიშნული სტაჟირების პროგრამით?

- სტუდენტი მიიღებს ცოდნას და გამოცდილებას კომუნიკაციისა და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემების დაგეგმვას, ინსტალაციას, კონფიგურაციას, დაპროგრამებასა და გაშვებაში;
- ექნება შესაძლებლობა იმუშაოს კვალიფიკაციითა და განათლებით დარგში საუკეთესო სპეციალისტებთან;
- ჩართული იქნება ქართული რეალობისთვის უნიკალურ და ინოვაციურ პროექტებში;

შესასრულებელი სამუშაო

- პირველ ეტაპზე სტაჟიორის ძირითადი ფუნქცია იქნება პროგრამის ხელმძღვანელისგან მიღებული მასალების შესწავლა და გააზრება;
- დროდადრო ჩაერთვება კომპანიის მიერ განსახორციელებელ პროექტებში, პროექტის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე დაევალება სხვადასხვა ფუნქციები და მოვალეობები;

შენიშვნა :სტაჟირება მიმდინარეობს შპს ვეზირის ტექნიკურ დეპარტამენტში

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა პირველ რიგში უნდა გამოგზავნონ რეზიუმე და სამოტივაციო წერილი.

შერჩეულ კანდიდატებს მიეცემათ დავალება/პროექტი, რომლის წარმატებით შესრულების შემთხვევაში მოწვეულნი იქნებიან გასაუბრებაზე.

წარმატებულ კანდიდატთა საბოლოო სია გამოქვეყნდება გასაუბრების შედეგად.

სტაჟიორი თავდაპირველად ანაზღაურების სახით მიიღებს ხელზე მისაღებ 200 ლარს თვეში

პროგრამის ხანგრძლივობა : მინიმუმ 6 თვე (გადაწყდება ინდივიდუალურად , სტაჟიორის მიღწევებიდან გამომდინარე)

სტაჟირების პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში კანდიდატები მიიღებენ კონკრეტულ შეთავაზებას შპს ვეზირში დასაქმების შესახებ.